


## ანდრეა, ადრეა... რაფტერის მატოქა წვიმაში დაიშალა



ანდრე აგასისა და პატრიკ რაფტერის ტრადიციულ უიმბლდონურ ნახევარფინალში ზედიზედ მეორედ ავსტრალიელმა გაიმარჯვა. სოტორა ლასვეგასელმა ბევრი იომა, გვერდით მსაჯებს ლამის ხელდახელაც შეება, მერე ერთ მათგანს კარგად დამიზნებული ბურთიც გაართვა, თუმცა ფინალს, ხელის გაწვდენაზე რომ იყო, მაინც ვერ შეწვდა. რაფტერის მეტოქეც, წესით და რიგით, გუშინ უნდა გამოფლენილიყო, მაგრამ ბრიტანელი ტიმ ჰენმანი ხორვატ გორან ივანიშვიცის რომ ანადგურებდა, „ოლ ინგლენდ კლაბს“ დააწვიმა...

მატჩი დღეს, ჩვენი დროით 4 საათზე განახლდება.



პატრიკ რაფტერმა ანდრე აგასი უიმბლდონიდან გაისტუმრა



აი, ვის ატყვევდა ვიტორიო ჩეკი გორი ფეხბურთში არმილ ნაშოვან ფულს

## დეტექტივი ვიტორიო ჩეკი ერთარსი შავი ფეხბურთი: ფული ყოველნი არ არის, თეთრდება რამდენიმე პლენსიას ჭკუაში ატყუებს

ნესია — დეტექტიური რომანების დასასრული ისეთი უნდა იყოს, რომ შკიტხველი გაოცდეს. წლევეანდელი ცხელი საფეხბურთო ზაფხულიც თანდათან დეტექტივის სახეს იღებს. „ფიორენტინას“ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორის ვილაში პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა — შავი ფულის თეთრად ქცევის დამადასტურებელ საბუთებს ეძებდნენ. პოლიციამ ეს საბუთები ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინა. სამაგიეროდ, ვილის პატრონის საძილე ოთახში ორ ფილიპინელ გოგონას, ერთ იტალიელ ტელევიზორსკვლავ ქალს და ცხრა გრამ კოკაინს ნააწყობა — ესეც სიუჟეტი დეტექტიური რომანისთვის. გუშინდელი დღის ნაკლებდეტექტიური ამბები კი ასეთია: ტურინის „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტმა ლუჩანო მოჯიმი ზინედინ ზიდანის მადრიდის „რეალში“ გაყიდვის ამბავი დაადასტურა და გარიგების ღირებულებაც გაამხილა — 60,48 მილიონი დოლარი, თუმცა შეთანხმება ჯერაც ხელმოუწერელია. მათ, ვინც ფიქრობს, რომ ეს თანხა ძალიან დიდია, მოჯიმი პასუხობს: „ზიდანი ხომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია“. სერჯო კრანოტის კი „ლაციოს“ დირექტორატი სოლიდარობას უცხადებს. რომელთა პრეზიდენტმა თქვა, დავილაღე, მივედივარ და კლუბსაც ვყიდო. ესენიც ერთხმად აწყვენენ, ჩვენც შენ გზას დავადგები. კრანოტისთვის ქვევერდომთა ამგვარ საქციელს გული აუჩუყებია და ნასვლა კინალამ გადაუფიქრებია. კინალამ — რადგან კრანოტის ფეხბურთი ისე მობეზრებია, ნამდვილად აღარ გადაიფიქრებს. რა მოხდება „ლაციოში“, ხუან სებასტიან ვერონს აღარ უნდა აწუხებდეს. მის ახალ კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაყიდვა არ ეშუქება. მართალია, „იუნაიტედის“ შეფობას უთქვამს, გუნდში სუსტი ადგილი არ გვაქვსო, მაგრამ ძლიერის უფრო გასაძლიერებლად ოცდახუთი მილიონი გირვანქა არ დაიშურა. „რეალმა“ ზიდანის საქმე ფაქტობრივად მოამთავრა და ახლა მენდიეტას გადასწვდა. ოცი მილიონი დოლარი და ზედ ფლავიო კონსეისაო — ასეთია მადრიდელთა ახალი წინადადება. „ვალენსია“ კი მენდიეტაში დაახლოებით იმდენივეს ითხოვს, რამდენსაც „იუვენტუსი“ ზიდანში. პოდა, ამ ანგარიშით „რეალი“ კონსეისაოს ორმოც მილიონად აფასებს. ძალიან ბევრია? აბა, ახლანდელ ფასებს რას ვაუგებ... თანაც ხომ არ გვეთქვამს, „ვალენსია“ დათანხმდაო.

იხილეთ მეხუთე გვერდი

REUTERS ლონდონიდან



ქმეზაიასან
უნდა,
დანდისან
უნდა
ბონათი
ქართულეს
ამრკაულეს



თემურ ქეცბაია

„დანდისი“ გადასვლაზე თავად თემურ ქეცბაიას თანახმაა და მოწადინებულია, გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილთან ერთად ითამაშოს. „გულეზის“ ხელმძღვანელთა თავადაც სთხოვს, რომ კარიერის „დანდისში“ გაგრძელების საშუალება მისცენ.

კობა ინასარიძე

გვასალია
ფილია
დაამუშვიდა

ელდარ გვასალია ფოთის „კოლხეთსა“ და სოსო ფილიას დაუბრუნდა. 15 ივნისიდან, რაც ფოთელმა ჩემპიონატისათვის მზადება დაიწყო, გვასალია „კოლხეთის“ ვარჯიშზე ერთხელაც არ გამოცხადებულა. ფილია შემოთავაზებული და შეფიქრებული იყო, ფეხბურთელს ვერანაირად ვერ უკავშირდებოდა. ვარჯიშებზე გამოუცხადებლობის მიზეზი კი გვასალიას ნაღდად ჰქონდა — მას წელი სტკიოდა და თბილისში არჩია წამლობა. ასეა თუ ისე, ელდარ გვასალია ფოთში დაბრუნდა და წუხელ „კოლხეთს“ ტრადიციულ ორკვირიან შეკრებაზეც გააყვავა ბულგარულ ნესებრში.



ელდარ გვასალია

როგორც ყოველთვის, ჩინებული გვექნებოდნენ — გვითხრა ფილიამ გუშინ, როდესაც ბულგარეთში წასვლის წინ ფოთში დავეუკავშირდით. 31-კაციანი დელეგაციის ხელმძღვანელი (22 ფეხბურთელი, 9 ოფიციალური პირი), გუნდის ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა. აქვე ერთსაც გეტყვით, როგორც ფოთელთა ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოივაძემ წუხელვე გვაცნობა, უფრადან ახალი არაფერია გიორგი დავითნიძის ტრანსფერთან დაკავშირებული ცნობილი საჩივრის თაობაზე, პასუხს უახლოეს ხანში ველით.

მურამ დურულავა გვითხრობს

საზაფხულო მიდრ-მოდო

Table with 4 columns: Team Name, Squad Members, Opponents, and Season Results. Rows include teams like Trnava, Lokomotiv, Dinamo, Zhetysay, Kolos, Mironi, Batumi, Sioni, Gori, Guria, Metallurg, and Sabirali.



# ჩეკი გორის სამი ცოდვა შავი ფული, თეთრი ფხვნილი, ქერა ქალი

ლუკა ტურკომ და გაბრიელ მამოტამ ვიტორიო ჩეკი გორის ცხოვრება გაუმწარეს. ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ვიტორიო ჩეკი გორი „ფიორენტინას“ პრეზიდენტი, ტურკოს და მამოტას გვარები კი არაფერს ეუბნებათ. ეს ის ხალხია, რომლებიც სცენაზე მაშინ გამოდიან, როცა მავანთა საქმეები მთლად წესრიგში ვერაა — მოკლედ, მოსამართლეები არიან.

მოწვევრები შექმნილი საქმეების უამრავი ვარიანტი არსებობს, ეს მოსამართლეები კი იმით არიან ცნობილი, რომ ძირითად შავი ფულის გათეთრების საქმეებს იძიებენ. თუ ამ ცნობას გაკითხვისას ვიხსენებთ და ასევე ვავიხსენებთ, რომ ვალბეში ჩაფლულ „ფიორენტინას“ გაკოტრება ემუქრება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩეკი გორი კლუბის ფინანსურ საქმიანობას მთლად სუფთად არ წარმართავდა.

ბატონებს, ლუკა ტურკოს და გაბრიელ მამოტას სამხილთა ძიებაში ვიტორიო ჩეკი გორის სახლის ჩხრეკის ორდერი გაუციათ, თუმცა ადგილზე, ანუ „ფიორენტინას“ პრეზიდენტის ვილაში მისულ პოლიციელებს იმაზე მეტი დახვედრიათ, ვიდრე საეჭვო ფინანსური დოკუმენტები.

ჩეკი გორის ვილაში პოლიციელები თავდაპირველად ორ ფილიბინელ გოგონას გადაიყარნენ, რომელთა იქ ყოფნის მიზანზეც დელიკატურად ღუმლის ვამპოვობით. თავად ჩეკი გორის პოლიციელები იმ ოთახში წააწყოდნენ, რომლის კედლებიც მთლიანად სარკისა და ავეჯის ძირითადი ატრიბუტი საწოლია. იმ საწოლში კი იტალიელი ტელევიზორკვალი ვალერია მარინი ნებებოდა.

თუმცა შეინიშნო, რომ ამ დეტალზე სენსაციითაა მძიმეული ჟურნალისტები შეიძლება დააკმაყოფილოს, მოსამართლეთათვის კი ჩეკი გორის ვილაში ქალბატონთა ყოფნა ვერაფერი საბუთია. მაგრამ საბუთია ის, რაც „ფიორენტინას“ პრეზიდენტისა და ბობოლა ტელემაგნატის სეფში აღმოჩნდა — ცხრა გრაში კოკაინი. ალბათ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სეფის პატრონმა იგი უხალისოდ გახსნა. კოკაინის აღმოჩენის ფაქტი ადგილობრივმა პოლიციამ გუმინ ოფიციალურად დაადასტურა. ვიტორიო ჩეკი გორის კუთვნილი კომპანიების — „ფინმავის“ და „ჩეკი გორი გრუპის“-ის საქმიანობის ძიება გრძელდება. ეს ორგანიზაციები „ფიორენტინას“ მფლობელები არიან.

გიორგი მარგანიძე



ჩეკი გორი მოსამართლეებს ხელებს ვერ გაუშლს



ტელევიზორკვალი ვალერია მარინი ჩეკი გორის ლოჯისა ციხეში



ჩეკი გორის ვილას პოლიციამ ალუა შემოარტყა

## თავაზ-თავაზ ვერ მოვქრთავე...

**შორე ვამ** დღის შურაცხვივის გამო ნაკრებიდან წასვლა რომ გადაწყვიტა, ამას წინათ გამცნეთ. ლიბერალმა გულშემატკივრებმა მას განუხილეს სამხარო მარცხი არ აბატებს და მსოფლიოს 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელი საინტენჯად გაიმეტეს, ზოგიერთებმა კი ქვის სროლაც არ დაიზარეს. არადა, მასაინძლებს ეს შეხვედრა რომ მოეგოთ, კორეა-აპონიის საგზური თითქმის განადღებული ჰქონდათ.

ლანძღვა-გინება ჯერ კიდევ არ განულებულიყო, როცა გუმინწინ ლიბერალთა საამაყო შეილს განუხილეს მთავარმა მწვერთელმა, ფრედ ოსამ-დულომ, ახალი ბრალდება წაუყენა. მან ჟორე ვეა რამდენიმე განელი ფეხბურთელის მოქრთამის მტკიცებაში ამხილა.

აი, რა უთქვამს თურმე ოსამ-დულოს ერთ-ერთი აფრიკული რადიოსთვის:

„თამაშის შემდეგ ჩემთან მოვიდა სამი ფეხბურთელი, მათ შორის მეკარე ჯემს ნანორი, რომლებმაც მითხრეს, რომ ჟორე ვეა მათ ზუთ-ზუთი ათასი დოლარით დასაწყობებს შეჰპირდა, თუკი ისინი ორ ბურთს მაინც გაუშვებდნენ. ეს ამბავი კი, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ მინდორზე, შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მოხდა. ჩემმა ბიჭებმა, რა თქმა უნდა, ყურაც არ შეიბერტყეს“ — ამყად დაამატა ფრედ ოსამ-დულომ. თუ რითი დასრულდება განუხილთა მოქრთამის გამო ატეხილი განგაში, ალბათ, მალე შევიტყობთ.

საინტერესოა, ჟორე ვეას ნაღდი ფული თან ჰქონდა თუ ნისიად მოსყიდვას ცდილობდა?

გაბა ხუციშვილი

## საზონის ისტორია სტატისტიკოსთა თვალით



ლიგურული მართლაც საუკეთესო

**შპს-სტრუქტურის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია ყოველწლიურად ასახელებს საუკეთესოთა ნუსხის საკუთარ ვერსიას. წლებულს სტატისტიკოსთა რჩეული გახდნენ: წლის საუკეთესო კლუბი — უეფას თასის მფლობელი ინგლისის „ლივერპული“.

საუკეთესო მწვერთელი — არგენტინელი — „ბოკა ხუნიორის“ დამრიგებელი კარლოს ბიანი, რომელმაც „სახალხო გუნდად“ წოდებულ კლუბს ზედზედ ორჯერ ლიბერთადორესის თასი და შარშან საკონტინენტთაშორისო თასიც მოაგებინა.

ნაკრების მწვერთელთაგან საუკეთესოდ აღიარეს საფრანგეთის ეროვნული გუნდის თავაკაცი როჟე ლემერი.

საუკეთესო მსაჯი — იტალიელი პიერლუიჯი კოლინა.

საუკეთესო საფეხბურთო ლიგად ესპანეთის პრიმერადივიზიონი აღიარეს. უმძლავრეს ლიგათა საუკეთესო ბომბარდირებად დასახელდნენ — ხარედ ბორგეტი (სანტოს ლუგანა, მექსიკა) — 39 გოლი და შვედი ჰენრიკ ლარსონი (გლახგო რეინჯერსი) — 35 გოლი.

საუკეთესო მეკარეთა ზეთელი: ფაბიენ ბარტევი (მანჩესტერ იუნაიტედი) — 195 ქულა, ოლივერ კანი (ბაიერნი) — 133 ქულა, ფრანჩესკო ტოლო (ფიორენტინა) — 131, ხოსე ლუის ჩილავერტი (სტრასბური) და იკერ კასილიასი (რეალი).



### ჩაპილა-ჩაპილა

ზინედინ ზიდანი მადრიდში ჩავა. ეს დაახლოებით ისე უფერს, თითქოს, ნაპოლეონი შესულიყო საფლავ თავისი ჯვართი. ევროპულ ფეხბურთში ახლა შესვენებაა და თუკი რამ ხდება ხმაურიანი, ის არის, რომ ზიდანი მადრიდში ჩავა და გაისად, შესაძლოა, მხარდამხარ ითამაშონ ზიდანმა და ფიგო, რომლებიც ისე ბერდებიან, რომ ევროპული საკლუბო ტიტული არ მოუგიათ.

ეს დიდი მოვლენაა მსოფლიო ფეხბურთში, განსაკუთრებით მაშინ, როცა თამაშები არ არის. „ზინედინ ზიდანი მადრიდში ჩავა“, ჯერ არ ნიშნავს „მარადონა ბარსელონაში ჩავიდა“. თუმცა, 1982 წელს საქმე ისე იყო, რომ „მარადონა ბარსელონაში ჩავიდა“ დაახლოებით ორმოცდაათჯერ მძლავრი იყო, ვიდრე „ზიდანი მადრიდში ჩავა“. ბევრად ნაკლები ხმაური იყო, როცა „მარადონა ნეაპოლიში ჩავიდა“, მაგრამ მარადონამ ამბები სწორედ ნეაპოლიში მოახდინა და არა ბარსელონაში. ამიტომ, „ზინედინ ზიდანი მადრიდში ჩავა“, ჯერჯერობით არ ნიშნავს, რომ „აღფრედო დი სტეფანო მადრიდში ჩავიდა“. თუმცა როცა აღფრედო დი სტეფანო მადრიდში ჩავიდა, ამნირი ხმაური არ ატეხილა. უბრალო ჩასვლას ვამბობ, თორემ „რეალიში“ გადასვლა ხომ კიდევ ცალკე ამბავი იქნებოდა.

შარშან იყო — „ლუიშ ფიგუ მადრიდში ჩავიდა“. წლებულს „ზინედინ ზიდანი მადრიდში ჩავა“. ამას შეიძლება მოჰყვეს „ზუან ვერონი მანჩესტერში ჩავიდა“ და „ზავერ სავილა ბარსელონაში ჩავიდა“. ეს „ჩავიდა-ჩავიდა“, რაღაც იმის მსგავსია, ვთქვათ, „ჯორჯ ბუმი კოსოვოში ჩავიდა“. ნაპოლეონს ნულარ შევაწუხებთ. ფეხბურთია, ბოლოს და ბოლოს, საყვარელი თამაში და თამაში როგორ შეიძლება „ჩავიდა-ჩავიდას“ მეტი არაფერი ვიძახოთ?

მთავარი ეს ჩასვლები გამოდის, თორემ ზიდანს კი არ ვერჩი, კაცო. ზიდანს მე რას უნდა ვერჩოდე?

ჩავიდა და ვე არი ერთხელ ალექსანდრ ზავაროვიც ჩავიდა ტურინში. რა მოხდა მერე.

მდიღონები?

და ფეხბურთი?

### საგანგაპო მიმართვა

ესე იგი, ამერიდან, ყოველ საშაბათო სვეტს ქვეშ მიეწერება მესვეტის ელექტრონული ფოსტის მისამართი.

MESVETE.@HOTMAIL.COM

ეს მისამართი იმათთვის იქნება, ვინც არ დაიზარებს და აზრებს გამოთქვამს ფეხბურთში მიმდინარე ამბებზე. მესვეტეს განსაკუთრებით აინტერესებს მკითხველთა შეხვედრები საერთაშორისო ფეხბურთზე, რაც სადავო საკითხებზე, მიმდინარე მოვლენებზე ყოველ თქვენს სერიოზულ თუ არასერიოზულ შეკითხვასა თუ აზრს, მესვეტე მიმოიხილავს ორ კვირაში ერთხელ, საგანგებო საშაბათო გვერდზე.

მიიწერეთ მოკლედ, სხარტად და მხიარულად.  
MESVETE.@HOTMAIL.COM

















# სარბიელი

## სკორტული ლატარია



BOOKMAKERS

# კროკო

**1 ავვისბოლან ჩროხო ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, ხვირა**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

- თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, საავტორო ცენტრი; ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
- ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში) გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმალელესთან“) ნერეთლის გამზირი №11; ქავჭავაძის გამზირი №41
- ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში) ფალიაშვილის ქუჩა №27
- გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
- თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
- რუსთაში — შარტავას ქუჩა №7
- ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
- ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21; ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61; ჯავახიშვილის ქუჩა №78; ქავჭავაძის ქუჩა №113 (მაღე)
- ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106
- მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### შევიცარია. A ჯგუფი. 1-ლი ტური 7 ივლისი

20.30	003	გრასპოპერი-აარაუ	1,3	4,4	8,0
22.30	004	ლუცერნი-ქსამაქსი	2,1	3,1	3,2
22.30	005	სერვეტი-ციურიხი	1,75	3,1	4,2
23.15	006	იანგ ბოისი-ლუგანო	2,5	3,1	2,4

### შვედეთი. მე-13 ტური 7 ივლისი

19.00	009	იორებრო-სუნდსვალი	1,6	3,4	5,0
-------	-----	-------------------	-----	-----	-----

### 8 ივლისი

21.00	010	ნორჩიოპინგი-იურგორდენი	2,5	3,0	2,5
21.00	011	იორგრეტე-მალმიო	2,0	3,2	3,3

### ნორვეგია. მე-14 ტური 8 ივლისი

21.00	012	ბოდო გლიმტი-მოლდე	3,0	3,1	2,2
21.00	013	ბრინი-ლილესტრიომი	3,4	3,3	1,9
21.00	014	მოსი-ბრანი	3,1	3,2	2,1
21.00	015	სოგნდალი-ოდ გრენლანდი	3,0	3,1	2,2
21.00	016	სტრიომგოდსეტ-ლინი	2,2	3,1	3,0
21.00	017	ტრომსიო-სტაბეკი	3,2	3,1	2,1
23.05	018	რუსენბორგი-ვიკინგი	1,6	3,4	5,0

### ფინეთი. მე-18 ტური 8 ივლისი

18.00	023	ჰიკ-კუოპიო	1,5	3,4	6,5
18.00	024	ტამპერე-იოკერიტი	1,5	3,6	5,0
20.30	025	ინტერი-ატლანტისი	2,1	3,0	3,3
20.30	026	როვანიემი-ვაასა	2,1	3,1	3,0

### ავსტრია. სუპერთასი 7 ივლისი

20.15	027	ტიროლი-კარტენი	1,45	3,6	6,5
-------	-----	----------------	------	-----	-----

### ინტერტოტო. II ეტაპი. II მატჩები 7 ივლისი

20.00	501	უნივერსიტატი-სინოტი	1,85	3,1	3,8
20.00	502	აიკ-ოდენსე	1,5	3,5	6,0
20.00	503	ტატაბანია-ტილიგული	1,5	3,5	6,0
20.30	504	სარტიდი-მიუნხენი	2,5	3,0	2,5
21.00	505	რიზე-პობედა	1,4	3,8	7,0
22.30	506	ლოზანა-შტურმი	2,0	3,2	3,1
22.30	507	ჰერენვენნი-ლიუპაია	1,25	5,0	9,0
23.00	508	გენტი-ჩელიკი	1,35	4,0	6,5
23.00	509	ბასტია-სლავენი	1,4	3,8	7,0
23.00	510	ლოკერენი-ზაგლეზე	1,55	3,4	5,6

### 8 ივლისი

20.00	511	ვიტ ჯორჯია-ტრუა	ანგარიში	-	5,0
20.30	512	ჰაპოელი (ჰაიფა)-დინამო (მინსკი)	1,7	3,2	4,4
21.00	513	ტავრია-სპარტაკი (ვარნა)	1,9	3,1	3,6
21.00	514	პეტრუალკა-ცელიე	1,85	3,0	4,0
21.00	515	ჯაზი-პსჟ	3,2	3,1	2,0
21.00	516	გრინდავიკი-ბაზელი	3,0	3,1	2,2

### მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკები (არგენტინაში). III ადგილი და ფინალი 8 ივლისი

21.00	519				
23.45	520				

### ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში). ფინალი 7 ივლისი

18.00	523				
-------	-----	--	--	--	--

ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში. ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადაძრავლება დაუშვებელია.



**სარბიელი  
სორბული  
ლაბარია**



**BOOKMAKERS  
კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლოების, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.



**კროკოს ბიუროთა მისამართები**

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

<b>თბილისი</b>	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენების გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	1 სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძისთან“ (ყოფილი „დელისი“)
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
<b>ქუთაისი</b>	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა №27	
<b>გორი</b>	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
<b>თელავი</b>	კოსტავას ქუჩა №23	
<b>რუსთავი</b>	შარტავას ქუჩა №7	
<b>ბათუმი</b>	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა №113	
<b>ქობულეთი</b>	ალმაშენების ქუჩა №106	
<b>მარნეული</b>	რუსთაველის ქუჩა №39	
<b>ოზურგეთი</b>	გურიის ქუჩა №23	

**ბათუმის რესპუბლიკის**

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყვანოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოცემის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცხადებისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცხობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიყვანოს ვარიანტი აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცხობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (შეათვისდის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცხობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლა და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმონდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

- ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:
- 1 ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
  - 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწოდზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
  - 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტ ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
  - 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
  - 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
  - 6 არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი
- ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცხობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.
- თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).
- ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის

რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეიცვოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, იცვება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედა ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს დამოგებებს არ ანაღდებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით. მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.





დღეს ოთხმოცდამეორე ტურ და ფრანსი იწყება. იწყება დიუნკერკში, მ2-კილომეტრიანი პროლოგით. ბოლო ორი ტურის ზედიზედ მომგები ამერიკელი ლენს არმსტრონგი კი ბოლო სამედიცინო შემოწმებას გადის და გვარწმუნებს, მაგარი ვართ.

REUTERS მეტაბურნიდან




REUTERS დიუნკერკიდან



# კინალა დაიბვიანეს

განთქმული ჰოკეისტი ლუკ რობიტაილი „ლთს ანჯელეს კინგზიდან“ „დეტროიტში“ გადაბარგდა. ახალ ფრთოსანს კინალამ თავის პირველ აქაურ პრესკონფერენციაზე დაგვიანებია. დენვერიდან დეტროიტში გამოსაფრენად გამზადებულ ლუკს და მის ცოლ სტესიას რაღაც არევიათ, შეშლიათ და ახლა სწორედ თვითმფრინავის ფეხით დევნის ამბით ახალისებენ ჟურნალისტებს.



REUTERS დეტროიტშიდან

# გუზინ საღაგოს

დღეს მეტაბურნი „კოლონიად სოედუმზე“ მასპინძელ ავსტრალიელთა და ბრიტანელ ლომთა მეორე ტესტია. პირველი ტესტის მომგები ბრიტი მორაგებნი ახლა უფრო კარგ ხასიათზე გახლავან, ვიდრე მასპინძლები და დრო იმისთვის გამოუნახავთ, რომ მოელს ოხეთში განთქმულ ტელეშოუ „მეზობლებშიც“ გამოსულიყვნენ. მხიარულ ლომებს, სკოტ მიურეისა და ჯერემი დევიდსონს მხრებზე შეუსვამთ შოუს წამყვანი პოლი უოლესი, მაღალიმ ოკელის კი თანაგუნდელი ოსტინ ჰილი შემოუჯვანია ზურგზე. ამ ლალობის ფონზე შეტად სერიოზულნი ჩანან „კოლონიადზე“ მოვარჯიშე ვოლაბი გარე ნახევარმცველები, სტივენ ლარკევი (მარჯვნივ) და მისი შემცვლელი ელტონ ფლეტლი. ასეცაა, ავსტრალიელებს მოგება სწყურიათ.

REUTERS მეტაბურნიდან



# უაი გივანის ქორნილი

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მეკარე უაი გივანმა ცოლი შეირთო, პროფესიით მასწავლებელი ჯეინ კანინგემი. ამ იერის მასწავლებელი საერთოდ ცოტაა, არათუ ინგლისში, მსოფლიოშიც და შეიც ბედნიერია, რომ დიდი ხნის კობტა და გულთბილ მეგობართან იქორწინა. უაის ირლანდიურ ხასიათს თურმე სწორედ ჯეინის სიმშვიდე ესადაგება. ხიფათა სიძეს ქორწილამდე ორი-სამი კვირით ადრე ვარჯიშზე ცხვირი გაუტეხავს და მის მომუშებას ძალიან ცდილა, ემანდ საჭირო თარიღს ცხვირგაბუშტული არ შევხვდეთ. ჯეინსწერა ჰექსემის წმინდა მარიაშის ეკლესიაში ჩატარდა და იქ ნიუკასლელ, ირლანდიელ თუ შოტლანდიელ ვარსკვლავთა, სხვანაირად სიძის მეგობართა სიმრავლე შეინიშნებოდა. აქ იყვნენ კენი დალგლიში, რობ ლი, სტივ ჰარპერი, კევინ გალაპერი, უორენ ბარტონი, გარი სპიდი და ირლანდიის ნაკრების მენეჯერი მიკ მაკკარტი. ალან შირერს კი თვითონაც ხედავთ.



THE SUN

**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი

გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან

გამოდის სამუშაოებს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
კარასკემს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე  
ლიტერატორი ბიორგი ოქროშაძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მანანა ბუნიკაძე  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულიასვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მანა აბუნიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგე-ბაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბუტაძე, სვეტა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კანურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუ-ნია, გურამ ხელაშვილი  
გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრე ყაზვანიძის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge